საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2,000 მან.

№ 122

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი იანვრის 13

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

იანვრის 11-ს 1922 წელს. ქ ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის ს. ხალხთა მსაჯულთა თავმჯდომარე

სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავი და ნაცნობი მეუღლე მისი იულია დავითის ასული, შვილები: არჩილი, რუსუდანი, ელიზა, ირაკლი და დავითი. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ჯადიტის ქ. № 4) პარასკევს, იანვრის 13-ს ნაშუადღევის 3½ საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

176

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭო ამით აუწყებს მოქალაქეთ და სასამართლოს უწყებათა მოხელეთ, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოს პირველი თავმჯდომარე

სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე განსვენებულის ბინაზე, ჯადიტის ქუჩ. № 4. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, იანვრის 13-ს ნაშუადღევის 3½ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე

177

განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

ალიგიერი დანტე

(ბიოგრაფიული ცნობები)

6 სექტემბერს 600 წელი შესრულდა დანტეს გარდაცვალებიდან. იგი დაიბადა 1265 წელს და გარდაიცვალა 1321 წელს. იტალეთის უდიდესი პოეტის გენია ვერ გააქარწყლა დრომ და დღესაც იგი არა მარტო ისტორიის სავანეს კუთვნილებაა, არამედ კიდევ ცოცხალი შემოქმედება, როძელიც იტაცებს ჩვენს სულსა და გულს.

როგორც საერთოდ დიდი მწერლების ბიოგრაფია, ისე დანტეს ბიოგრაფიაც ვერ გვაძლევს მისი ცხოვრების განძარტებასა და აღწერას. თავის ავტობიოგრაფიულ ნაწყვეტებში, რომელიც შეიძლება ვიპოვოთ მის შემოქმედებაში, იგი მცირე და ძუნწ მასალებს იძლევა. მისი მშობლების შესახებ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ იგი არ კმაყოფილდებოდა თავისი ცოდნით, ვიცით ისიც, რომ მისი მასწავლებელი იყო ბრუნეტო ლატინი.

დანტე კითხულობდა კლასიკებს და იძენდა სქოლასტიურ ცოდნასაც. 1274 წ. 19 წლის დანტე ეტრფის ამავე ჰასაკში მყოფს, მისი მეზობლის ქალს ბიატრიჩე პორტინარისას. მას შემდეგ ბიატრიჩე ხდება მისი „ოცნების ძბოძანეველი“ და ბიატრიჩე სიკვდილის ძეძდეგაც (1290) რჩება მის სათაყვანო არსებად. (ძემდეგ დანტე დაქორწილდა „პოლიტიკუოი ანგაოიძით“, რომელიც მაინ გავრცელებული იყო).

როდესაც დანტე განდევნეს ფლორენციიდან, მისი მეუღლე ჯემა, დარჩა ქალაქში ბავშვებით, რომელთა მოვლა-პატრონობას ანდომებდა მთელ თავის დროს. დანტე კი ამავე დროს სწერდა თავის „ღვთაებრივ კომედიას“ და ბიატრიჩეს უგალობდა...

უკანასკნელ დროს დანტე სცხოვრობდა თავის შვილებთან იაკოპოსა და პეტროსთან ერთად რავენაში. დანტეს ბიოგრაფი ბოკაჩიო გვეუბნება, რომ ვითომც დანტემ იქორწილა იძულებით და მისი დევნის ხანგრძლივობისას, არც ერთხელ არ ცდილა მეუღლე მიეწვია თავის საცხოვრებელ ალაგას.

დანტე პირველად გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე 1296—7 წლებში. 1302 წელს იგი თავისი პარტიით გაძევებულ იქნა ფლორენციიდან და მას შემდეგ არასოდეს აღარ უხილავს თავისი საყვარელი ფლორენცია.

დანტეს შემოქმედება ხანგამოშვებითია ისე, როგორც ეს შეეფერება მოგზაურსა და უბინადრო შემოქმედს.

იგი გარდაიცვალა 1321 წელს, 6 სექტემბერს და დასაფლავებულ იქმნა რავენაში.

დანტეს სურათი არ არის დანამდვილებით გამომხატველი მისი სახის. ბოკაჩიოს აზრით იგი ატარებდა წვერს, ჰქონდა არწივისებური ცხვირი და დრმა და დადონებული სახის მეტყველება.

დანტე იმ პოეტთა რიცხვს ეკუთნის, რომლის შემოქმედებას მარადიული ელფერი აზის. იგი არა მარტო იტალიის შარავანდედია, არამედ კორიფეია მსოფლიო ლიტერატურის. ამიტომ მისი შესწავლა და მისი პატივისცემა სავალდებულოა ყოველი კულტურული ერისათვის.

ფრიად სასიამოვნოა, რომ ხელოვანთა კავშირმა აიღო ინიციატივა და იანვრის 12-ს გამართა დანტეს საღამო.

ს.—ელი.

† სოლომონ მიქელაძე

ოთხშაბათს, იანვრის 11-ს მცირე ხანის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ს. ს. ს. რ. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარე სოლომონ მიქელაძე.—ეი, ცნობა, რომელმაც ელვის სისწრაფით გაიარა იუსტიციის კომისარიატის თანამშრომელთა შორის.

ჯერ კიდევ სამი-ოთხი დღის წინედ ის შეედგა თავისი მოვალეობის შესრულებას—საბჭოს ორგანიზაციას.

სულ ახლო მომავალში უნდა დაწყებულიყო საბჭოს ფაქტიური მუშაობა და აცვე, სულ მოულოდნელად ხელმძღვანელი ამ მუშაობისა აღარ არის.

აღარ არის, მიიცვალა ჰატიოსანი და უანგარო მოღვაწე.

აღარ არის ჩემი ძვირფასი მასწავლებელი.

მე არ ვიცი, რომელი ერთი საყვარელებო მოვლენა ავიღო ამ ადამიანის ცხოვრების წარსულიდან?!

მე არ ვიცი—რას მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება, მაშინ როდესაც ყოველ დროში, ყოველ სფეროში მისი მოღვაწეობისა, განავენებული ჩემს წინაშე ცოცხლად დგას, როგორც:

— ჰატიოსანი მოღვაწე!

— ძვირფასი მასწავლებელი.

მე ვამბობ—ძვირფასი მასწავლებელი, რადგანაც მე მასთან მაკავშირებს ჩემი წარსული ცხოვრების ერთი პერიოდი.

ქუთაისი.

კლასიკური გიმნაზია.

სოლომონ ძიქელაძე ჩემი მასწავლებელი მაღალ კლასებში.

მძიმე რეჟიმისა და ატმოსფერის დროს, როდესაც ყოველი მოსწავლის აზრი და თავისუფალი გაქანება იყო შეზღუდული ბიუროკრატიული სიმძიმით, როდესაც გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციები იშვიათი იყო ელემენტები მოსწავლეთა საეთო სიყვარულისა და ჰატივისცემისა, ეი სწორედ იმ დროს მე მახსოვს ამ მასწავლებლის შემოსვლა კლასში და მოსწავლეების ადფრთოვანებული შეხვედრა, კმაყოფილი სახეები.

დიახ, ჩვენ გვიყვარდა ჭეშმარიტ მასწავლებელი, ჩვენ ვსცემდით პატივს მის კეთილ ხასიათს და მშვიდ ბუნებას.

გავიდა დრო და ცხოვრებამ მე მცირე ხნის შემდეგ კვლავ მომცა საშუალება მასთან შეხვედრისა.

მაგრამ, ვაგლახ, რომ ხანმოკლე შეიქმნა ჩემი მუშაობა ჩემს მასწავლებელთან. თანადროულს რთულს პირობებში ჩვენ იძულებული ვართ ძვირფას მასწავლებელს უთხრათ უკანასკნელი „მშვიდობით“.

დიახ, ჩვენ ვეტყვით მის ცხედარს ამ საშინელ, საბედისწერო სიტყვას, მაგრამ ვეტყვით დრმა სიყვარულით და პატივისცემით.

მიხ. ღვამიჩავა.

ახალი ამბები

— **ბ. ანაშვილის იუბილე.** საიუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა: საზეიმო ბჭობა და დელეგაციათა მილოცვები ოთეუყოს დილით, ბოლო სადამოთი იუბილიარის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ბ. ერისთავის პიესა „ვიყარა“ და მსახიობთა ძილოცვები.

— **იუბილეს დღეს,** საღამოს წარმოდგენა შემდეგ, „ქიმერიონში“ გაიმართება საზეიმო ბანკეტი იუბილარის საპატივცემლოთ, ძსოველთ ადრევე შეუძლიანთ ჩაეწერონ ოუსთავეატრის კონტორაში.

— **მხატვარი მ. ჭიაურელი** ამზადებს მცხოვან მსახიობის ქანდაკებას, რომელიც იანვრის 15-ს დადგმულ იქნება ოუსთავეელის თეატრში, თვალსაჩინო ადგილას.

— **ყველა დელეგატები,** იუბილესათვის გამოგზავნილი, უნდა გამოცხადდნენ რუსთაველეატრის კონტორაში იანვრის 15-ს, წინდაწინ ჩასაწერად მომლოცველთა სიაში.

— **კვირას,** იანვრის 15, დღის 12 საათზე, ხელოვნების სახლში, (სერგიევის ქუჩა 13) დანიშნულია სრ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წევრთა სასწრაფო კრება, კავშირის საბჭო სთხოვს წევრებს დესსწონენ ადნიშნულ კრებას აუცილებლად. გასახილველია მნიშვნელოვანი საკითხები.

— **ლიმბალი.** რედაქციას მოუვიდა სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს ეუბნალი „ლიმბალი“ № 2. ეურნალში მონაწილეობენ: ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. რტხაძე, ოთარ ძუბანი, ვ. ბაინოვი, და კოწია გამსახურდია. ეურნალი იყიდება ყველგან. ცალი 12 ათასი მან.

— **სახალხო განათლების განყოფილება.** ქალაქის ადმასრულებელ კომიტეტის პოეზიდიუმის დადგენილებით, ყველა სკოლები, გარდა პოოფესიონალურისა და ბარეადვე 8 ბავშვთა სახლისა, 18 ბავშვთა ბაღისა და 1 ბავშვთა კერასი, უნდა გადაეცეს ტფილისის ქალ. საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების გამგეობაში.

— **ხელშეკრულება მუშათა კოოპერატივთან.** ქალაქის ადმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დადგინა დასდოს მუშაკოპთან ხელშეკრულება, სამგზურნეო დასაწყისზე გადასულ მუშათა მოსამსახურეთა მოძარაგების საკითხის შესახებ.

— **ხაბიდიარდოები.** ქალაქის ადმასრულებელ კომიტეტის პოეზიდიუმმა უარი უთხრა საბილიარდოების პატრონებს, მათი საწარმოვოდ გახსნის შესახებ.

— **სამახსარმართო მაგიდა.** სამოსამართო მაგიდას მიეცა 70 მილიონი მანეთი 1922 წ. მისაძართის ბარათების დასამზადებლად.

— **სახალხო სახლი.** ქალაქის ადმასრულებელი კომიტეტი იხილავს შუამდგომლობას ზუბალაშვილის სახელობის სახლის სახალხო განათლების გამგეობაში გადაცემის შესახებ.

— **საოჯახო ხელშეკრულება.** საქართველოს რევკომმა დადგინა საბელმწიფო წარმოებათა იჯარით გაცემის პროექტი.

— **კრედიტი რკინის გზელებს.** საქართველოს რევკომმა დამტკიცა რკინის გზის სამართველოს შუამდგომლობა 4,312 მილიონი მანეთის მიცემის შესახებ, რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა 15 დეკემბრამდი ჯამაგირის მისაცემად. ფინანსთა კომისარს წინადადება მიეცა მისცეს რკინის გზის სამართველოს აღნიშნული ჯამი.

— **ტყიბულის** მადაროები. ტყიბულის მადაროების საქმიროებისათვის ს. მ. უ. ს. შუამდგომლობით საქართველოს რევკომმა გაუხსნა სამთო სამმართველოს 1 მილიარდის კრედიტი. ს. მ. უ. ს. წინადადება მიეცა წარუგზინოს საქართველოს რევკომს მოხსენება ტყიბულის მადაროების კომერციულ ანგარიშზე გადასვლის შესახებ.

რუსეთი

მოსკოვი, 10 იანვარი. ლონდონიდან 7 იანვრის თარიღით იტყობინებიან შემდეგ ოეზოლიუციას, ბიუროს ულლეს საბჭოს ძიეს: „იმ აზრის შესახებ, რომ თეეერვალში ან მარტის დასაწყს აუცილებლად საჭიროა ძოწვეულ იქნეს ეკოსომიუნო ფინანსიური კონფერენცია, ო

ელზედაც ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ მოიხი გერმანიას, რუსეთს, ავსტრიას, ბელგიას და ბოლგარეთს, უნდა მიეცეს წინადადება გაგზავნან თავ-თავიანთი წარმომადგენლები, მოკავშირე სახელმწიფოები ფიქრობენ, რომ ასეთი კონფერენცია წარმომადგენა აუცილებლად საჭიროა ხალხთა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიუოად აღდგენისთვის. მოკავშირე სახელმწიფოები ფიქრობენ, რომ მთელ ევროპასთან საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენა, ყველა ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრის ძიდება საჭიროა წარმოებით მოიმის ასპაროეზის სახლეობის გასაფართოვებლად და ევროპის ხალხების ეძიეის შესაძლებლად. აუცილებლად საჭიროა ძალავი სახელმწიფოების ბეერთეული მეცადინეობა, ოთ ევროპა განთავისუფლდეს თავის დაბლისგან. ეს მეცადინეობა უნდა გამოიხატეთოდეს ვაჭრობის გზის ყველა დაბრკოლების ძისაბობაში, უფრო სუფ ქვეყნების კრედიტებით ძმძოოაგებაში და ყველა ეროეის თანამშრომლობაში ხორძალეს კეთილდღეობის აღსადგენად. მოკავშირე სახელმწიფოები ფიქრობენ, ოთ ძირითად პაროლეს, რომლეთის დროს ეს მეცადინეობა შეიძლება განხორციელდეს გამოიკვეთა, მეადგენენ ბუძეგეს: 1. ოიც ეროთ სახელმწიფოს ოთ აქვს უფლება უკარბანის სხვა სახელმწიფოს პოზიციაეეი, ოთ-ლების ბიბლეთეაც შეოოე სახელმწიფომ უნდა ითავსოიგოს საკუთრეის შინაგან ეკონომიუო ცხოვრეის და ბძართველობის სისტემა. ყველა ეროი თავისუფლად ირჩევა იმ სისტემას, ოთ-მელიც მის მოსწონს ან სფეროიანი, 2. ბაგოა, სანამ ოთ-ძელიც სახელმწიფოს ისაოგებლის უცხოელ კაპიტალისტეთის შემწეობით, ეს უკანასკნელი უნდა დამოწმენდნენ, ოთ მათ ქონეთა და უფლებაა პატივს ცეეეს, ოთ მათი ოოკეზეეა ბაეოფი უზოოსეელეოფილ იქნეა მათთვის.

3. უშიშროების ნაძდვილი გარანტიები ვეო იქეეეიან ალდგენილი, სანამ ყველა იმ სახელმწიფოებეი ეთავროეები, რომლეთაც ეურო �გეელოს უცხოეთის კრედიტით, არ გამოცხადეეეს ოთ ლითა განსახდვეულია, ოთ ისინი სცნოეეს ყველა სახელმწიფო ვალებს და ვალდებულებას, ალებულ ან ეუზოუნველყოფილ სახელმწიფო ეუნიციპალიტეტეი ან სხვა ოოძელიძე სახოგადოებრივ ორგანიზაციების ძ�o, და აგეეედვე სცნოეეს ვალდებულება ალდგენინოს ყველა ქონება, ოთ-ელიც

გკუთვნის უცხოელებს, ან აუხაზდაუ-
რონ მათ ზარალი, რომელიც მათ მოუ-
ვიდათ მათი ქონების კონფისკაციით ან
სეკვესტრით.. (გამოტოვებულია).. კა-
ნონდებლობის სისტემა, რომელიც პირ-
უთვნილად დაიცავს უფლებას და მო-
ვალეობას, რომელნიც გამომდინარეო-
ბენ კომერციულ და სხვაგვარ ხელშეკ-
რულებებიდან და უზრუნველყოფენ მათ
იძულებით ძალას.

4. აუცილებელია.. (გამოტოვებულია).
გადაცვლის საშუალებით და საერთოდ
შეიქმნას ისეთი პირობები ფინანსიურ
ფულის ტრიალისა, რომლებიც საკმა-
ოდ უზრუნველყოფენ ვაჭრობის წარ-
მოებას.

5. ყველა ერებმა უნდა ხელი აი-
ღონ ისეთ პრიმაგანდაზე, რომელიც
მიმართულია სხვა ქვეყნებში არსებულ
წეს-წყობილების დასაბოლოთ და სხვა-
ნაირ პოლიტიკურ სისტემის დასამყა-
რებლად. 6. ყველა ქვეყნებმა უნდა იკი-
სრონ მოვალეობა არ დაეცნენ თავიანთ
მეზობლებს. თუ იმ პირობათა უზრუნ-
ველსაყოფვლათ, რომელნიც საჭირონი
არიან რუსეთის ვაჭრობის განსავითა-
რებლათ, რუსეთის მთავრობა მოითხოვს
ოფიციალურათ თავის ცნობას, მოკავ
შირე სახელმწიფოები მზათ არიან ასე
თი ცნობისთვის, მაგრამ მხოლოდ იმ
შემთხვევაში, თუ რუსეთის მთავრობა
დასთანხმდება ზემოხსენებულ პირობებს.

უცხოეთი

ბერლინ. 9 იანვარი, (რადიო) კანის
კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია
სრულიად ევროპის ფინანსიურ ეკონო-
მიურ კონფერენციის მოწვევის შესახებ,
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ
ევროპის ყველა სახელმწიფოთა წარმო-
მადგენლები, ძათ რიცხვში გერმანიის
და რუსეთისაც. კონფერენციის მიზანია
ხელი შეუწყოს ევროპის სახელმწიფოთა
შორის საერთაშორისო სავაჭრო დამო-
კიდებულების განახლებას. რუსეთის
შესახებ თეზოლიუცია ამყარებს თანამ-
შრომლობის საგალდებულო გარანტიას,
ვალების ადიარების და საგაჭრო ხელ-
შეკრულების სახით.

ნაუენი. 7 იანვარი, ბელფორტში კი-
დევ ხდება სისხლის მკვრელი შეტაკე-
ბები კათოლიკებსა და პროტესტანტებს
შორის. ბევრი მოკლული და დაჭრილია.
აღნუსხული ნამეტნავად მძიმე შეტაკე-
ბები მოხდა 5 იანვარს ღამით.

ბერლინ. 7 იანვარი. დევალერა მოი-
თხოვს ინგლის-ირლანდიის ხელშეკრუ-
ლების ტექსტის შეცვლას იმ მხრივ,
რომ ირლანდია წარმოადგენს დამოუ-
კიდებელ სახელმწიფოს, რომელიც შე-
დის ბრიტანეთის ფედერაციაში და
ინგლისი არის მხოლოდ მეთაური ფე-
დერაციის სახელმწიფოებისა. ამავე დროს
დე-ვალერამ მიმართა ირლანდიის ხალხს
მოწოდებით, რომელშიაც უთხრა უფრო
ფართოდ და ყურადღებით მოიქცეს
ინგლისთან ურთიერთობის საკითხში,
უნდა თავი შეიკავონ ნამეტანი აჩქარე-
ბულ გადაწყვეტილებათაგან, რომელთაც
უკარნახებთ ეროვნებრივი სულგანი ზა-
ვისა.

ბერლინ. იანვრის 7-ს, „ეკოდე პა-
რის" ბელგიელი კორესპონდენტი
იუწყება: ინტენსიურ ბელგიელად აცნობა
ბრიანსა და ლოიდ-ჯორჯ, რომ გერ-
მანიას არა შემთხვევაში არ შეუძლიან
შეიტანოს იანვრის და თებერვლის შე-
სატანები. გერმანიას შეუძლიან მხო-
ლოდ გადიხადოს 200 მილიონი მარკ
ოქროთი.

ნაუენი. იანვრის 7-ს, ქანო, ეხება
რა ვერძანიის განიარაღების საკითხს,
გადაწყვეტა აცხადებს: არ შეიძლება იმ
ფაქტის უარყოფა, რომ ანტანტის პო-
ლიტიკა გერმანიის მიმართ ნამდვილი
მარცხით გათავდა. ანტანტის მთელი
პოლიტიკა გერმანიის მიმართ გამოი-
ხატებოდა იმაში, რომ გერმანია და-
დუპვამდე მიეყვანა. ანტანტამ ეს ვერ
მოახერხა და ვერც მოახერხებს. უწყობს
რა ხელს გერმანიის ფინანსიურ და-
დუპვას, ანტანტა ამით ამაგრებს,
აკა-
ებს გერმანიის ხალხის ნებისყოფას. ეს
ნებისყოფა უთუოდ მიიყვანს რევანშამ-
დე (შურის ძიებამდე).

დონდონი. „ტაიმსი" მოწინავე წე-
რილში ეხება ინგლის-საფრანგეთის და-
მოკ დებულებას და სწერს: თუ ჩვენი
მხრიდან რომელიმე ორაზროვანი მოქ-
მედება აძლევს ფრანგებს საფუძვლიან
მოტივებს ეფიქრონ ჩვენ გადა-
წყვეტილებაში, რომლითაც მხარს ვუ
ჭერთ საფრანგეთის კანონიერ მოთხო-
ვნილებებს ანაზღაურების საკითხში, ან-
ტანტამ რამდენი ხანიც არ უნდა იარ-
სებოს ქალალდზე ის მკვდარი იქნებო-
და, როგორც გარანტია ომიანი ნაციის
და ვერსალის ზავის მშვიდობიანობისა-
თვის".

ნაუენი. 7 იანვარი (რადიო). ფრან-
გული პრესა ალნიშნავს: საფრანგეთის
და ინგლისის შეხედულებების წინააღ-
მდეგობა მსოფლიო პოლიტიკაზე, კა-
ნის კონფერენციის გახსნის დროს, კი-
დევ უფრო გაძლიერდა. მოლაპარა-
კების წარმოება ასეთ პირობებში ძა-
ლიან გაძნელებულია. ინგლისის და ა-
ფრანგეთის წინააღმდეგობები საერთოდ
შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:
1) წყალქვეშა ფლოტის ტონაჟის საკი-
თხი, 2) რუსეთის საკითხი, 3) ზომები
ევროპის ფინან ფურ-ეკონომიურ აღორ-
ძინებისათვის და 4) ადმოსავლეთის სა-
კითხი.

ამის გარდა არსებობს მთელი რიგი
წვრილი საკითხებისა, რომლებიც აზო-
რებს ინგლისს და საფრანგეთს. საფრა-
ნგეთის პრესა ეძებს გამოსავალს ასეთ
მდგომარეობაში ანტანტის სახელმწი-
ფოების შიერ მეგობრულ ხელშეკრულე-
ბის დადების შესაძლებლობის შესა-
ხებ.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ურიის ქალი"

ოპერა „ურიის ქალმა" როგორც საფ-
რანგეთის სკოლის ნიმუშმა, საგრძნობი
როლი შეასრულა გასული საუკუნის
პირველი ნახევრის საოპერო მუსიკის
ისტორიაში.

ნაწარმოების ტენდენციაა—საზოგა-
დოების თვალწინ გადაუშალოს საშუა-
ლო საუკუნის ობსკურანტიზმი, როცა
დაუნდობლად სდევნიდენ ებრაელებს.

ამ ოპერის შინაარსში, ისე როგორც
ზემოხსენებულ სკოლის ყველა ოპერებ-
ში, ჩაქსოვილია სიყვარული. მუსიკა
ულაკოდ დაძველებულია, ძაგრამ დღე-
ვანდლამდისაც ოპერის ზოგიერთი ად-
გილები სასიამოვნო მოსასმენია მელო-
დიების სილამაზისა გამო. ასეთია, solo
ბარიტონთან à capella (ებრაელთა პასე-
ქის დღესასწაული), მთელი სცენა რა-
ქილის ლეონალდის და ელეაზარის მე-
ორე აქტში, პირველი აქტის საფინალო
დუეტ, ელეაზარის არია და სხვ.

ელეაზარის პარტიას მოქ. ლიპეცკია
ასრულებდა, რომელსაც პრეტენზიები
აქვს საგასტროლო მკვიმარეობაში იყოს
დასში, ძაგრამ საუკეთესო ამ პრეტენ-
ზიის დასაკმაყოფილებლად და მისთვის
განსაკუთრებული ძდგომარეობის შესა-
ქმნელად, არ არის.

მისი ხმა ყოველთვის არ არის სასია-
მოვნო. საშვალო—ცოტა დაბზარული
ყოფა, ზევითა რეგისტრი—კარგია, ლი-
რიკული ადგილები დაუმუშავებელია,—
ორის გამოც განიქმული. არია: „რაქილ
შენ მე მეკუთვნი",—ძეტად მკრთალად
გამოვიდა.

დიქცია მოიკოქლებს. სცენიური ნაწილი
და მიმიკა ტიფიურია ვერ შორდება.

რაქილის პარტიის მოქ. მანდეოლა
ასრულებდა, რომელსაც იშვიათი ლამაზი
ხმა აქვს. მაგრამ მაინც აუცილებელი
მუშაობა ფრაზიროვკის გამოსაძუ-
შავებლად, მოქნილობის გასანვითარებ-
ლად. მუშაობა ეტყობა სცენიურ
გაგებაშიაც, ძაგრამ აქაც საჭიროა სე-
რიოზული მეცადინეობა.

კარგათ მღერის ნარდიპალის პარ-
ტიის მოქ. ისეკია. ლეონალდოს პარ-
ტიის შეცდომით სთვლიან მეორე ხა-
ისხოვან პარტიათ: პირიქით, იგი ძნე-
ლია, ხმის დიდ მოქნილობას მოითხოვს.
მოქ. ბუევი მოერია ლეონალდოს პარ-
ტიას.

ორკესტრი უგულოთ უკრავდა, ზო-
გჯერ (ძეორე აქტში ფალში იყო რო-
გორც ჩასაბერ, ისე სიმებიან ნაწილში.
ასეთი მოვლენა დაუშვებლად უნდა
იქნეს მიჩნეული სერიოზულ საქმეში.

ბალეტი კარგი იყო, განსაკუთრებით
ტარანტელა.

ჰ. ბ.

ბიბლიოგრაფია

ბარიკადი № 4 გაზეთის მოწინავე
„ცისფერი ყანწელების" დეკლარაციით
იწყება, ამ დეკლარაციის შესახებ არაფ-
ერს ვამბობთ, რადგანაც აქ არ არის
ისეთი პარადოქსები წამოყენებული,
რომელიც არ ამართლებდეს თანამედ-
როვეობას. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ
წერილი არის დაწერილი თანამედროვე
საქართველოს ობიექტიური მდგომარე-
ობის ზიგავლენით.

ალექსანდრე ბლოკის დახასიათებაში
ტიციან ტაბიძე გულწრფელია და მიუ-
დგომელი. რუსეთის პოეზიაში ბლოკი
უსათუოდ მაღალია და მისი პროფილი
მართლაც ანათების ანარეკლით არის
განათებული.

ალ. არსენიშვილის „დახვეწილი ნა-
ოპი" არ არის 1921 წლის ქართული
პოეზიის არც მონოკლით და არც ლო-
ორნეტით გარჩევა. ალ. არსენიშვილი,
ამაოდ სცდილობს კრიტიკოსის სახელის
დაპყრობას, მას ურჩევნია უფრო და-
დუმებული, თანამგზავრი იყოს „ცისფერ
ყანწელების":

ვალერიან გაფრინდაშვილის წერილს
ამართლებს სანდრო ცირეკიცე თავის
ინტიმურ გინიატიურებით.

იმპრესიონიზმზე შპენგლერის შეხე-
დულება შესახიშნავად არის გადმოცე-
მული, გ. რ. ის მიერ.

ტ ციან ტაბიძის ლექსი „ცხენი ანგე-
ლოზით" არის ირონია და ამასხარა-
ვებს იმ ქონდრის კაცებისაგან შემდგარ
საზოგადოებას, რომლებიც „გრძელ
ულვაშებით" მეოცე საუკუნეში უსირ-
ცხვილოდ მოერთონ „არშინ მალალანს"
ტ. ტაბიძის პოეტურ სახის გამართლება
ამ სასტიკი ირონიის ცეცხლშია გატა-
რებული და პოეტი მართლაც შესანი-
შნავია ამ მხრივ. გრიგოლ რობაქიძის
მწუხარება თავის საყვარელ შვილის
ალკას დაკარგვის გამო, გასაგებია, ლე-
ქსი „ალლაო" სუსტია და შიგ არის
რამდენიმე ყალბი ხაზებიც.

გ. ლეონიძეს ახასიათებს კულტურუ-
ლი ბარბაროსობა და მისი ლექსი „სა-
ღრჩობელიდან" ასეთი რკალებით არის
გახსნილი. ლეონიძე ხშირად ეხვევა ვუ-
ლგარიზმის ცეცხლში, მაგ. სიტყვა
„დგანდგარი" არ შეიძლება იხმაროს
ისეთ პოეტმა, რომელიც ყოველ სიტ-
ყვის ესტეტიურ თვალსაზრისით უცქე-
�ის და ზომავს. რაც შეეხება ლეონი-
ძის ლექსის ფაბულა გამართლებუ-
ლია.

კოლაუ ნადირაძის „მალეალი—დირი-
ჟორი" ვალერიან გაფრინდაშვილის
ლექსებიდან არის ამოღებული. ეს არ
ეპატივება ისეთ პოეტს, რომელმაც
მოგვცა საუკეთესო ლექსი „ნოტრ-
დამი".

ნიკოლოზ მიწიშვილი „ჩიბის" სიინ-
ტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი ამ
ლექსში სცილდება „ტვინის ქალას" და
სენტიმენტალობას სცდილობს,

პაოლო იაშვილის ლექსი „გრიგოლ
რობაქიძეს" მეგობრული სიყვარულის
გრძნობით არის დაწერილი, თუმცა
ლექსი არეულია ძალზე. ყოველ შემთხვე-
ვაში დრო კი არის ასეთი ოფორტების
ალბომი დამთავრდეს „ცისფერ ყანწე-
ლების" ბანაკში.

ვალერიან გაფრინდაშვილის „პოეტის
კარიერა" უპირველეს ყოვლისა არის
ლამ პოეტიკა, რომელიც ბევრ ფრანგ
პოეტს ახასიათებს, მართლაც მისაღე-
ბია პოეტისათვის კარიერა თვითმკვლელ-
ობის. მაგრამ ძნელია თქმა იმისა,
ბუასილი ჰქონდა თუ არა ფაუსტის
ავტორს.

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას ეურნალ
„ხომალდზე" მიხანშეწონილია და სა-
მართლიანი, თუმცა გიპერბოლა არის
ობოლი მუშის პოეტური ენერგიაზე
ლაპარაკი.

ეურნალ „ლომისის" ბიბლიოგრაფია
უსათუოდ დაწერილია ვიდაც ძალზე
შურიანი კალმოსნის მიერ. მე ამ წერილს
„ლომისზე" ყურადღებას არ მივაქცევდი,
გალაქტიონ ტაბიძეზე რომ არ იყოს
ძეტად უსინდისო ლაპარაკი. პირდაპირ
უნდა ითქვას, რომ მართლაც უსინდი-
სოებაა გ. ტაბიძის ისე ხსენება, როგორც
ეს ბიბლიოგრაფიის დამსწერს მოსდის.
ცილისწამება არის ის, რომ გალაქტიო-
ნის ლექსში „ზამთარში" იყოს ნადსო-
ნის მოტივების გადამღერება. აგრეთვე
უფრო უარესი ცინიკური გამასხარავება
არის პოეზიის გ. საგანელის ტაბიძის
მეტოქეთ გამოყვანა.

„ბარიკადის" რედაქტორმა ტიციან
ტაბიძემ უნდა ჩამოაშორიოს თავის ესტე-
ტიურ გაზეთის ფურცლებს ისეთი პი-
რები, რომლებთაც ინტრიგის დიმონიუ-
რი სურვილება შეაქვთ პოეზიის უსპე-
ტაკეს სამფლობელოში. საერთოდ უნდა
ითქვას, რომ ასეთი კულტურით დატვი-
რთული გაზეთი საქართველოს არ
ახსოვს. ველით გაზეთის მეხუთე ნო-
მერს უფრო ლიტერატურულ ეთიკის
სამართლიან თვალსაზრისით გამოსულს.

ბ. გ.

—

„ბარიკადა" „ცისფერი ყანწელების"
მისია უკვე დასრულდა. ამას თვითთო-
ნაც გრძნობენ თარგმნებით ქართული
პოეზიის მოტყუილებამ საკუთარ შემოქ-
მედებითი უნარის გაკრეტინებამდე
მიიყვანა „ყანწელთა" მოწინავე პლეი-
ადა. ყოველგვარ გამოხვლებს ელფერი
დაეკარგა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ტენნიკით
ლექსის გაძართვა შეიძლება მხოლოდ
ნიმუშებათ გამოდგეს. დღეს ქართული
ლექსის ხერხემალი გამაგრებული არის
და ის ახალ ძიებისკენ უნდა გადაიხა-
როს.

„ბარიკადები"-თ სცდილობენ პოეზია
დაიპირონ და მას ახალი საჭრფოების
ძებნა აუკრძალონ, მაგრამ მანკენონმ
იცის პარალიჩამდე მისვლა (ამას მო-
წმობს ყოველი ახალი ლექსი „ბარიკა-
დში") „ბარიკადები" მერცხალია მათი
ადსასრულის დადგომის. მათი სიკვდი
ლი, რომ ყველასათვის შესამჩნევი გა
ხდეს ყიფინით ამცნობენ საზოგადოებას
მის მოახლოებას.

პაოლო იაშვილმა განაცხადა „ცისფე-
რი ყანწები" ყველაზე მეტად ჩვენთვის
მოძველდა. ეს მოძველებულის ლეშვა
თან ახლავს „ბარიკადები"-ს ახალ ნო-
მერს, რისთვისაც ის ვერ გამოდგება
„ფილისტერთა" ბანაკის ასაფეთქებლათ,
ამგვარმა „ფილისტერმა" გაუსწრო მათ
სახელს.

თუ აქამდი „ოთხი ქრისტეთი" ისა-
ზღვრებოდა „ცისფერ ყანწელები"-ს
სიმაღლე, დღეს „ბარიკადები"-ს მიერ
ამოტივტივებული ახალი „ლიოტჩიკი"
ალ. არსენიშვილი ცდილობს გული არ-
ავის დასწყვიტოს და თითო საქებ სი-
ტყვას ყველას წყალობს (ესეც გამოწვე-
ული არის თავის გაკრეტინების ში-
შით).

ვ. გაფრინდაშვილს ახასიათებს ყა-
ლბი წერილები. ის ფიქრობს სიტყვე-
ბის რიტმიულ დალაგებით შეიძლებო-
დეს თითქოს მწერლის დადასება. იმ-
პრესიონისტული მანერით კრიტიკის
წარმოება ქართული მწერლობისთვის
მიუღებელი არის ისე, როგორც ცირე-
კიძის შკოლა პროზაში. ცირეკიძის მე-
ტერლინკობაც უთუოდ გადამუშავებუ-
ლი არის. ცირეკიძეს აქვს უსათუოდ
გამართლება, რომ მან უთხრა პროზას
მკრთალი, მაგრამ ახალი სიტყვა. მისი
რევოლიუციი კი პროზაში ძეტერლინ-
კის თეატრის რევოლიუციასთან გასა-
წითლებელი არის.

გაზეთში არის ლანძღვა ბიბლიოგრა-
ფიის ფსევდონიმით, გალაქტიონ ტა-
ბიძის გიონ საგანელის დაპირისპირება
ლონე გამოლეული ლრენისა უტიფრო-
ბის შედეგი არის.

უნდა ითქვას პოეტური სიტყვა. ეს-
თეტიური ბრძოლა ქართულ პოეზიაში
„ცისფერ ყანწელებს"-ს ეპოქამ არ
იცის. მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილის
დადგომას პოეზიაში „ბარიკადები" ვერ
იხსნის. რასაც ობი მოეკიდა. მას ესთე-
ტიური გამართლება მხოლოდ გაბედულ
სიკვდილში აქვს.

ნიცშეს თქმა, რომ „ვინც წასაქცევ-
ათ განმზადილი არის, წაჰკარი რომ
მალე წაიქცესო" უნდა გამართლდეს.

წამკრავები ვიქნებით ჩვენ.

ეპიტაფია იწერება. *)

უუმაარა.

საქართველოს რევკომის საინფორ-მაციო განყოფილების ცნობები.

საქართველოს რევკომში.

ეჯარით გაცემის ხელშეკრულების
ინსტრუქციის პროექტის დამტკიცება,
საქართველოს რევკომის სხდომაზე 30
დეკემბერს 1921 წ. დამტკიცებულ
იქნა სახელმწიფო წარმოებათა ეჯარით
გაცემის ხელშეკრულებისა და ინსტრუქ-
ციის პროექტი.

რკინიგზელებისთვის.

რევკომმა [illegible] რკინიგზის
სამმართველოს შემოგზავნილი რკინის
გზების [illegible] — [illegible]
სამუშაო ქირით დასაკმაყოფილებლად
1921 წლ. დეკემბრის 15-დან 4 მი-
ლიარდი 312 მილიონი მანეთის გადი-
დების შესახებ და წინადადება მიეცა
ფინანსთა სახალხო კომისარიატს მი-
ცეს რკინის გზის სამმართველოს ალ-
ნიშნული თანხა ზემოხსენებულ საჭი-
როებისათვის.

ტყიბულის მადაროებში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბ-
ჭოს შუამდგომლობით სამთო სამარ-
თველოს გაეხსნა ერთი მილიარდი მა-
ნეთის კრედიტი ტყიბულის მადაროე-
ბის საჭიროებისათვის.

— რევკომმა წინადადება მისცა სა-
ხალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
წარმოადგინოს მოხსენება ტყიბულის
მადაროების კომერციულ ანგარიშის
წესზე გადაყვანის შესახებ.

**თავშესაფრები დამშეულ ბავშვებისა-
თვის**

ვოლგის ხმარის დამშეულ ადგილები-
დან ჩამოყვანილ ბავშვების თავშესაფარ-
ში შესანახად დამტკიცებულ იქნა
ხარჯთაღრიცხვა 1 მილიარდი 2.270,180
მან. რაოდენობით და წინადადება მიე-
ცა ფინანსთა კომისარიატს გაუხსნას
განათლების სახალხო კომისარიატს ამ
საჭიროებისათვის ალნიშნული რაოდე-
ნობის კრედიტი.

დახმარება ნიგოითის რაიონს.

საქართველოს რევკომის მცირე პრე-
ზიდიუმმა მოისმინა რა მოხსენება ნი-
გოითის რაიონში მოუსავლობის შე-
სახებ, დადგინა: წინადადება მისცეს
განათლების სახალხო კომისარიატს და-
ჩქარებით გახსნას ნიგოითის რაიონში
ბავშვების თავშესაფარი, მიღებულ იქნას
ყოველგვარი ზომები მცხოვრებთა 6
თვის სურსათით უზრუნველყოფის შე-
სახებ, რისთვისაც დაევალოს სახ. სასუ-
რსათო კომისარიატს მიაწოდოს დამ-
შეულ ხალხს საჭირო სიმინდი არა ნა-
კლები ოცი ათასი ფუთისა: ნიგოითის
რაიონი განთავისუფლებულ იქნას სასუ-
რსათო გადასახადისაგან და წინადადე-
ბა მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო
კომისარიატს მიიდოს სასწრაფო ზომე-
ბი ამ რაიონისათვის დასათეს მასალის
დასამზადებლად.

რაჭის მაზრაში.

ვინიდან რაჭის მაზრა ნოემბრის
წყალდიდობისაგან ძეტად დაზარალდა
და ბევრი მცხოვრები იძულებული
არიან გადასახლდნენ ამ ადგილებიდან
რევკომმა წინადადება მისცა მიწათმოქ-
მედების კომისარიატს შეუთანხმდეს
აფხაზეთის რევკომს რათა შეძლების-
დაგვარად დათმობილ იქნას სოხუმის
ოლქში მიწა 100 კომლი რაჭის მცხოვ-
რებთა დასასახლებლად.

პარტიაში

ბოლშევიკური საქმის მუშათა კრება.

შაბათს, იანვრის 14 ს, პარტიის ცენ-
ტრალურ ბიუროში, სადამის 6 საათზე,
დანიშნულია საქართ. მემარცხენე სოც.-
ფედერალისტთა სარევოლიუციო პარ-
ტიის ბოლშევიკური საქმის მუშათა ფრაქ-
ციის კრება. ამხანაგებს ევალებათ კრე-
ბას უკლებლივ დაესწრნენ და არ დაი-
გვიანონ.

—

პარასკევს, იანვრის 13 ს, დღის 12
ს. „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულ-
ია მთავარ კომიტეტის სხდომა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ამხ. „სოფლაპანის" გამოცემა.
გამოვიდა გასასყიდად
მოძრავი კალენდარი 1922 წ.
გადაკეთებული ძველი კალენდრიდან
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ისყიდება ტფილისში. წერა-კითხვის
წიგნის მაღაზიაში, სოსიკო მერკვილა-
ძის და სილიბისტრო თავართქილაძის
მაღაზიებში.

*) ამ შენიშვნების მოთავსებით რე-
დაქცია საშუალებას აძლევს ორიეე ავ-
ტორს გამოსთქვან თავიანთი აზრი.

რედ.